ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4142242

ნომერი: AR1603120

თარიღი : 17.07.2018

გაცემის თარიღი : 30.08.2018

გაცნობის თარიღი : 30.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გაგარინის ქუჩა N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ხუხაშვილი პ/ნ 01007011144
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 17 ივლისის AR1603120 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გაგარინის ქ. #10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.18.001.014) რესტორნის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
სამსახურის მიერ საკითხი, განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სამსახურის პოზიციის დასაფიქსირებლად მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, რომლის პასუხის თანახმად წარმოდგენილი განცხადების (მათ შორის, საექსპერტო დასკვნის) თანახმად, იგეგმება რამდენიმე მწვანე ნარგავის მოჭრას ან/და გადარგვას, თუმცა, ვინაიდან საუბარია, ზოგადად და არა კონკრეტული ხე-მცენარეების მოჭრაზე ან/და გადარგვაზე, შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი მწვანე ნარგავის მოჭრას ან/და გადარგვას გეგმავს დაინტერესებულ პირი. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ სამსახურმა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოადგინოთ სრულყოფილი ინფორმაცია, სადაც აშკარა იქნება თუ, რომელი მცენარის შენარჩუნებას, გადარგვას ან/და მოჭრას გეგმავს ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე. ასევე, უნდა წარმოადგინოთ ტოპო გეგმა, რომელზეც მონიშნული იქნება ხე-მცენარეები (მათ შორის, უნდა მიეთითოს მწვანე ნარგავების ნუმერაცია) და შენობის სავარაუდო განთავსების ადგილი.
დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილს (იხ.დანართი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 17 ივლისის AR1603120 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.